2026 წლის საგნის, უფროსი სპეციალური მასწავლებლისა და საბაზო პროფესიული უნარების გამოცდების შეფასების ზოგადი კრიტერიუმები

1. ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური)

- ტესტი შედგება არჩევითპასუხებიანი და ღია დავალებებისაგან;
- არჩევითი პასუხების მქონე დავალებაში დასმულია შეკითხვა და მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით;
- ღია დავალებების მაქსიმალური ქულა მითითებულია საგამოცდო ტესტში. ეს დავალებები ფასდება წინასწარ შედგენილი შეფასების სქემის მიხედვით.

  საგამოცდო ტესტით შემოწმდება:
- საგნის სწავლებისათვის აუცილებელი ლინგვისტური და ლიტერატურული მასალის ცოდნა;
- სხვადასხვა ტიპის ტექსტის გააზრებისა და ანალიზის უნარი;
- კრიტიკული აზროვნების უნარი;
- წერის კულტურა.

2. ქართული ენა არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური)

- ტესტი შედგება არჩევითპასუხებიანი და ღია დავალებებისაგან;
- არჩევითი პასუხების მქონე დავალებაში დასმულია შეკითხვა და მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით;
- ღია დავალებების მაქსიმალური ქულა მითითებულია საგამოცდო ტესტში. ეს დავალებები ფასდება წინასწარ შედგენილი შეფასების სქემის მიხედვით.

  საგამოცდო ტესტით შემოწმდება:
- პროფესიული ცოდნა (საგნის სწავლებისათვის აუცილებელი ლინგვისტური და ლიტერატურული მასალის ფლობა) და მისი პრაქტიკული გამოყენების უნარი;
- შეფასების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად;
- მოსმენილი ტექსტის გაგებისა და გააზრების უნარი; წაკითხული ტექსტის გაგებისა და გააზრების უნარი;
- წერის კულტურა;
- ქართულ ენაზე მეტყველების უნარი;
- კრიტიკული აზროვნების უნარი.

3. უცხოური ენები (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური)

- ტესტი შედგება არჩევითპასუხებიანი და ღია დავალებებისაგან.
- არჩევითი პასუხების მქონე დავალებებში ტექსტთან დაკავშირებით დასმულია შეკითხვები და მოცემულია ოთხი ან მეტი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. არის ასევე „მრავალჯერადი არჩევანის“ დავალებები. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით.
- ღია დავალებები (წერილი, თხზულება, ლაპარაკი) ფასდება წინასწარ შედგენილი შეფასების სქემის მიხედვით.

  უცხოური ენების ტესტებით მოწმდება:
- მოსმენა: სხვადასხვა შინაარსის, ზომის და ფორმატის ინფორმაციული ან შემეცნებითი ხასიათის B2 სირთულის დონის ტექსტების გაგების და მათში მოცემული როგორც ძირითადი აზრის, ისე ფაქტობრივი ინფორმაციის გაგების უნარი.
- წაკითხულის გააზრება: სხვადასხვა შინაარსის, ზომის და ფორმატის ინფორმაციული ან შემეცნებითი ხასიათის B2 სირთულის დონის ტექსტების გაგების და მათში მოცემული როგორც ძირითადი აზრის, ისე ფაქტობრივი ინფორმაციის გაგების უნარი.
- ლაპარაკი: მოცემული შეკითხვის ან სიტუაციის გათვალისწინებით მსჯელობის უნარი.
- წერა: მოცემულ თემასთან დაკავშირებით ოფიციალური წერილის ან თხზულების დაწერის უნარი B2 ლექსიკის და გრამატიკის მოთხოვნების გათვალისწინებით.
- სიტყვათწარმოება: კონტექსტის გათვალისწინებით ლექსიკური ერთეულების სწორი ფორმის წარმოების უნარი.

4. ისტორია (საბაზო/საშუალო საფეხური)

- ტესტი შედგება არჩევითპასუხებიანი და ღია დავალებებისაგან;
- არჩევითი პასუხების მქონე დავალებაში დასმულია შეკითხვა და მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით;
- ღია დავალებების მაქსიმალური ქულა მითითებულია საგამოცდო ტესტში. ეს დავალებები ფასდება წინასწარ შედგენილი შეფასების სქემის მიხედვით.

  საგამოცდო ტესტით შემოწმდება:
- საგნის სწავლებისათვის აუცილებელი მასალის ცოდნა და მისი გააზრების უნარი;
- ისტორიული წყაროების ანალიზის უნარი;
- ისტორიული მოვლენებისა და პროცესების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენის უნარი;
- კრიტიკული აზროვნების უნარი.

5. სამოქალაქო განათლება (საბაზო/საშუალო საფეხური)

- ტესტი შედგება არჩევითპასუხებიანი, თანმიმდევრობის, შესაბამისობის ტიპისა და ღია დავალებებისაგან:
- არჩევითი პასუხების მქონე დავალებაში დასმულია შეკითხვა და მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით;
- თანმიმდევრობის დავალება ითხოვს მოცემული ინფორმაციის მითითებული პრინციპის თანახმად დალაგებას. დავალება ფასდება 1 ქულით.
- შესაბამისობის დავალება ორ სვეტად მოცემულ ელემენტებს შორის ლოგიკური კავშირის დამყარებას ითხოვს. დავალებები ერთი ან ორი ქულით ფასდება წინასწარ შედგენილი შეფასების სქემის მიხედვით.
- ღია დავალებების მაქსიმალური ქულა მითითებულია საგამოცდო ტესტში. ეს დავალებები ფასდება წინასწარ შედგენილი შეფასების სქემის მიხედვით.

  საგამოცდო ტესტით შემოწმდება:
- საპროგრამო მასალის ცოდნა და მისი გამოყენების უნარი;
- სხვადასხვა სახით (ტექსტი, რუკა, ფოტო, დიაგრამა) წარმოდგენილი მასალიდან საჭირო ინფორმაციის გამოყოფა;
- ერთი და იმავე ინფორმაციის სხვადასხვა სახით გამოხატვა;
- საპროგრამო მასალის გააზრების, ანალიზის, განზოგადებისა და ინფორმაციიდან დასკვნის გამოტანის უნარი;
- დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების უნარი.

<u>6. გეოგრაფია (საბაზო/საშუალო საფეხური)</u>

- ტესტი შედგება არჩევითპასუხებიანი და ღია დავალებებისაგან;
- არჩევითი პასუხების მქონე დავალებაში დასმულია შეკითხვა და მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით;
- ღია დავალებების მაქსიმალური ქულა მითითებულია საგამოცდო ტესტში. ეს დავალებები ფასდება წინასწარ შედგენილი შეფასების სქემის მიხედვით.

  საგამოცდო ტესტით შემოწმდება:
- საპროგრამო მასალის ცოდნა;
- გეოგრაფიული ცნებებისა და ტერმინების ადეკვატური გამოყენება;
- გეოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების დამახასიათებელი, არსებითი ნიშნების გამოვლენა; გეოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენა;
- გეოგრაფიული რუკების კითხვა, მოპოვებული ინფორმაციის ინტერპრეტაცია და ანალიზი; გრაფიკების, ცხრილებისა და დიაგრამების გამოყენებით ინფორმაციის შეჯერება/ ანალიზი და მათი მარტივი ანალოგების შექმნა;

- გეოგრაფიული მოვლენების ანალიზი, მათი შეფასება; საკუთარი მოსაზრებების არგუმენტირების უნარი (აზრის ლოგიკურად, დამაჯერებლად და თანმიმდევრულად ჩამოყალიბება);

7. სომხური ენა (საბაზო და საშუალო საფეხური)

- ტესტი შედგება არჩევითპასუხებიანი და ღია დავალებებისაგან;
- არჩევითი პასუხების მქონე დავალებაში დასმულია შეკითხვა და მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით;
- ღია დავალებების მაქსიმალური ქულა მითითებულია საგამოცდო ტესტში. ეს დავალებები ფასდება წინასწარ შედგენილი შეფასების სქემის მიხედვით.

  საგამოცდო ტესტით შემოწმდება:
- ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი მოთხოვნების ცოდნა;
- საგნის სწავლებისათვის აუცილებელი ლინგვისტური და ლიტერატურული მასალის ცოდნა;
- სხვადასხვა ტიპის ტექსტის გააზრებისა და ანალიზის უნარი;
- კრიტიკული აზროვნების უნარი;
- წერის კულტურა.

8. აზერბაიჯანული ენა (საბაზო და საშუალო საფეხური)

- ტესტი შედგება არჩევითპასუხებიანი და ღია დავალებებისაგან;
- არჩევითი პასუხების მქონე დავალებაში დასმულია შეკითხვა და მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით;
- ღია დავალებების მაქსიმალური ქულა მითითებულია საგამოცდო ტესტში. ეს დავალებები ფასდება წინასწარ შედგენილი შეფასების სქემის მიხედვით.

  საგამოცდო ტესტით შემოწმდება:
- ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი მოთხოვნების ცოდნა;
- საგნის სწავლებისათვის აუცილებელი ლინგვისტური და ლიტერატურული მასალის ცოდნა;
- სხვადასხვა ტიპის ტექსტის გააზრებისა და ანალიზის უნარი;
- კრიტიკული აზროვნების უნარი;
- წერის კულტურა.

9. ქიმია (საბაზო/საშუალო საფეხური)

- ტესტი შედგება არჩევითპასუხებიანი და ღია დავალებებისაგან;
- არჩევითი პასუხების მქონე დავალებაში დასმულია შეკითხვა და მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით;

- ღია დავალებების მაქსიმალური ქულა მითითებულია საგამოცდო ტესტში. ეს დავალებები ფასდება წინასწარ შედგენილი შეფასების სქემის მიხედვით.

  საგამოცდო ტესტით შემოწმდება:

- საგამოცდო პროგრამით განსაზღვრული ფაქტობრივი მასალის ცოდნა და კონკრეტულ ამოცანებში ამ ცოდნის გამოყენების უნარი;
- გრაფიკებით, სქემებით, ცხრილებითა და დიაგრამებით მოწოდებული ინფორმაციის გაგებისა და ანალიზის უნარი;
- მოცემული ამოცანის პირობიდან არსებითი მონაცემების შერჩევის უნარი;
- ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით არასტანდარტული ამოცანის ამოხსნის უნარი;
- კონკრეტული დავალების გადაჭრისათვის საჭირო ყველა ნაბიჯის სრულად, არგუმენტი-რებულად და ლოგიკურად თანამიმდევრულად აღწერის უნარი;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერების სფეროში დაგროვილი ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უნარი;
- დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების უნარი;
- მეცნიერული ტერმინოლოგიის ადეკვატურად გაგების და გამოყენების უნარი.

<u>10. ბიოლოგია (საბაზო/საშუალო საფეხური)</u>

- ტესტი შედგება არჩევითპასუხებიანი და ღია დავალებებისაგან;
- არჩევითი პასუხების მქონე დავალებაში დასმულია შეკითხვა და მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით;
- ღია დავალებების მაქსიმალური ქულა მითითებულია საგამოცდო ტესტში. ეს დავალებები ფასდება წინასწარ შედგენილი შეფასების სქემის მიხედვით.

  საგამოცდო ტესტით შემოწმდება:

- საპროგრამო მასალის ცოდნა და კონკრეტულ ამოცანებში ამ ცოდნის გამოყენების უნარი;
- გრაფიკებით, სქემებით, ცხრილებითა და დიაგრამებით მოწოდებული ინფორმაციის გაგებისა და ანალიზის უნარი;
- მოცემული ამოცანის პირობიდან არსებითი (პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელი) მონაცემების შერჩევის უნარი;
- ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, უცნობი, არასტანდარტული ამოცანის დამოუკიდებლად ამოხსნის უნარი;
- დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების უნარი;
- ბიოლოგიის სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან დაკავშირების უნარი;
- მეცნიერული ტერმინოლოგიის ადეკვატურად გაგება და გამოყენების უნარი.

<u>11. ფიზიკა (საბაზო/საშუალო საფეხური)</u>

- ტესტი შედგება არჩევითპასუხებიანი და ღია დავალებებისაგან;

- არჩევითი პასუხების მქონე დავალებაში დასმულია შეკითხვა და მოცემულია ხუთი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით;
- ღია დავალებების მაქსიმალური ქულა მითითებულია საგამოცდო ტესტში. ეს დავალებები ფასდება წინასწარ შედგენილი შეფასების სქემის მიხედვით.

საგამოცდო ტესტით შემოწმდება:

- საგამოცდო პროგრამით განსაზღვრული ფაქტობრივი მასალის ცოდნა და კონკრეტულ ამოცანებში ამ ცოდნის გამოყენების უნარი;
- გრაფიკებით, სქემებით, ცხრილებითა და დიაგრამებით მოწოდებული ინფორმაციის გაგებისა და ანალიზის უნარი;
- მოცემული ამოცანის პირობიდან არსებითი მონაცემების შერჩევის უნარი;
- ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით არასტანდარტული ამოცანის ამოხსნის უნარი;
- კონკრეტული დავალების გადაჭრისათვის საჭირო ყველა ნაბიჯის სრულად, არგუმენტი-რებულად და ლოგიკურად თანამიმდევრულად აღწერის უნარი;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერების სფეროში დაგროვილი ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უნარი;
- დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების უნარი;
- მეცნიერული ტერმინოლოგიის ადეკვატურად გაგების და გამოყენების უნარი.

12. მათემატიკა (საბაზო/საშუალო საფეხური)

- ტესტი შედგება არჩევითპასუხებიანი და ღია დავალებებისაგან;
- არჩევითი პასუხების მქონე დავალებაში დასმულია შეკითხვა და მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით;
- ღია დავალებების მაქსიმალური ქულა მითითებულია საგამოცდო ტესტში. ეს დავალებები ფასდება წინასწარ შედგენილი შეფასების სქემის მიხედვით.

საგამოცდო ტესტით შემოწმდება:

- საგამოცდო პროგრამით განსაზღვრული ფაქტობრივი მასალის ცოდნა და კონკრეტულ ამოცანებში ამ ცოდნის გამოყენების უნარი.
- გრაფიკებით, სქემებით, ცხრილებითა და დიაგრამებით მოწოდებული ინფორმაციის გაგებისა და ანალიზის უნარი.
- მოცემული ამოცანის პირობიდან არსებითი მონაცემების შერჩევის უნარი.
- ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით არასტანდარტული ამოცანის ამოხსნის უნარი;
- კონკრეტული დავალების გადაჭრისათვის საჭირო ყველა ნაბიჯის სრულად, არგუმენტი-რებულად და ლოგიკურად თანამიმდევრულად აღწერის უნარი;
- დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების უნარი;
- მათემატიკური ტერმინოლოგიის ადეკვატურად გაგების და გამოყენების უნარი.

13. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (დაწყებითი/საბაზო საფეხური)

- ტესტი შედგება არჩევითპასუხებიანი და ღია დავალებებისაგან;
- არჩევითი პასუხების მქონე დავალებაში დასმულია შეკითხვა და მოცემულია ოთხი ან ორი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით;
- ღია დავალებების მაქსიმალური ქულა მითითებულია საგამოცდო ტესტში. ეს დავალებები ფასდება წინასწარ შედგენილი შეფასების სქემის მიხედვით.

საგამოცდო ტესტით შემოწმდება:

- საგნის სწავლებისათვის აუცილებელი ფაქტობრივი მასალის ცოდნა, გააზრება და მისი გამოყენების უნარი;
- სახვითი საშუალებებისა და ხერხების, ასევე თეორიული და პროცედურული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საბაზისო უნარი;
- შემოქმედებითი უნარი;
- მხატვრული ნაწარმოების აღქმის, კონტექსტში გააზრებისა და განხილვის უნარი;
- ლოგიკური და არგუმენტირებული მსჯელობისა და ანალიტიკური აზროვნების უნარი;
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტერმინოლოგიის ცოდნა და ადეკვატურად გამოყენების უნარი.

14. მუსიკა (დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხური)

- ტესტი შედგება არჩევითპასუხებიანი და ღია დავალებებისაგან;
- არჩევითი პასუხების მქონე დავალებაში დასმულია შეკითხვა და მოცემულია ოთხი ან ორი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით;
- ღია დავალებების მაქსიმალური ქულა მითითებულია საგამოცდო ტესტში. ეს დავალებები ფასდება წინასწარ შედგენილი შეფასების სქემის მიხედვით.

საგამოცდო ტესტით შემოწმდება:

- საგნის სწავლებისათვის აუცილებელი ფაქტობრივი მასალის ცოდნა, გააზრება და მისი გამოყენების უნარი;
- საგნის სწავლებისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარების გამოყენება;
- მელოდიის აღქმისა და დამახსოვრების, მარტივი ფორმისა და რიტმული სურათის გააზრების, ბგერების სიმაღლის განსაზღვრისა და ნოტებით დაფიქსირების უნარები;
- მუსიკალური ნაწარმოების სტრუქტურული ელემენტების - კილოს, ინტერვალისა და აკორდის ცოდნა და სანოტო სისტემაში მათი აგების უნარი;
- მუსიკალური ნაწარმოების აღქმისა და ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში განხილვის უნარი;
- საკითხის ინდივიდუალური გააზრების, ლოგიკური და არგუმენტირებული მსჯელობისა და ანალიტიკური აზროვნების უნარი;
- მუსიკალური ტერმინოლოგიის ცოდნა და ადეკვატურად გამოყენების უნარი.

15. სპორტი (დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურები)

- ტესტი შედგება არჩევითპასუხებიანი და ღია დავალებებისაგან;
- არჩევითი პასუხების მქონე დავალებაში დასმულია შეკითხვა და მოცემულია ოთხი ან ორი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით;
- ღია დავალებების მაქსიმალური ქულა მითითებულია საგამოცდო ტესტში. ეს დავალებები ფასდება წინასწარ შედგენილი შეფასების სქემის მიხედვით.

საგამოცდო ტესტით შემოწმდება:

- ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი მოთხოვნების ცოდნა;
- საგნის სწავლებისათვის აუცილებელი მასალის ცოდნა;
- პროფესიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უნარი;
- გაკვეთილის დაგეგმვისა და წარმართვის უნარი;
- სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად შეფასების სხვადასხვა მეთოდის გამოყენების უნარი;
- ინკლუზიური სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის უნარი;
- სპორტული ტერმინოლოგიის ადეკვატურად გაგების და გამოყენების უნარი.

16. ქართული ენა და ლიტერატურა/აზერბაიჯანული ენა და ლიტერატურა/რუსული ენა და ლიტერატურა/სომხური ენა და ლიტერატურა, ბუნებისმეტყველება, მათემატიკა (დაწყებითი საფეხური I-IV)

- ტესტი შედგება არჩევითპასუხებიანი და ღია დავალებებისაგან;
- არჩევითი პასუხების მქონე დავალებაში დასმულია შეკითხვა და მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით;
- ღია დავალებების მაქსიმალური ქულა მითითებულია საგამოცდო ტესტში. ეს დავალებები ფასდება წინასწარ შედგენილი შეფასების სქემის მიხედვით.

საგამოცდო ტესტით შემოწმდება:

- დაწყებით საფეხურის მასწავლებლის (I-IV) სტანდარტით გათვალისწინებული საგნობრივი ცოდნა;
- უცნობი ტექსტის ადეკვატურად გაგებისა და გააზრების, ტექსტიდან ინფორმაციის მოპოვების, ინტერპრეტირების, გაანალიზებისა და შეფასების უნარი.
- საკუთარი თვალსაზრისის ცხადად და ნათლად ჩამოყალიბების, არგუმენტების მოხმობით მისი დასაბუთების უნარი.

17. მათემატიკა (დაწყებითი საფეხური I-VI)

- ტესტი შედგება არჩევითპასუხებიანი და ღია დავალებებისაგან;
- არჩევითი პასუხების მქონე დავალებაში დასმულია შეკითხვა და მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით;

- ღია დავალებების მაქსიმალური ქულა მითითებულია საგამოცდო ტესტში. ეს დავალებები ფასდება წინასწარ შედგენილი შეფასების სქემის მიხედვით.

  საგამოცდო ტესტით შემოწმდება:
- დაწყებით საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის სტანდარტით გათვალისწინებული საგნობრივი ცოდნა;
- უცნობი ტექსტის ადეკვატურად გაგებისა და გააზრების, ტექსტიდან ინფორმაციის მოპოვების, ინტერპრეტირების, გაანალიზებისა და შეფასების უნარი.
- საკუთარი თვალსაზრისის ცხადად და ნათლად ჩამოყალიბების, არგუმენტების მოხმობით მისი დასაბუთების უნარი.

18. ქართული ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური I-VI)

- ტესტი შედგება არჩევითპასუხებიანი და ღია დავალებებისაგან;
- არჩევითი პასუხების მქონე დავალებაში დასმულია შეკითხვა და მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით;
- ღია დავალებების მაქსიმალური ქულა მითითებულია საგამოცდო ტესტში. ეს დავალებები ფასდება წინასწარ შედგენილი შეფასების სქემის მიხედვით.

  საგამოცდო ტესტით შემოწმდება:
- დაწყებით საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის სტანდარტით გათვალისწინებული საგნობრივი ცოდნა;
- უცნობი ტექსტის ადეკვატურად გაგებისა და გააზრების, ტექსტიდან ინფორმაციის მოპოვების, ინტერპრეტირების, გაანალიზებისა და შეფასების უნარი.
- საკუთარი თვალსაზრისის ცხადად და ნათლად ჩამოყალიბების, არგუმენტების მოხმობით მისი დასაბუთების უნარი.

19. ბუნებისმეტყველება (დაწყებითი საფეხური I-VI)

- ტესტი შედგება არჩევითპასუხებიანი და ღია დავალებებისაგან;
- არჩევითი პასუხების მქონე დავალებაში დასმულია შეკითხვა და მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით;
- ღია დავალებების მაქსიმალური ქულა მითითებულია საგამოცდო ტესტში. ეს დავალებები ფასდება წინასწარ შედგენილი შეფასების სქემის მიხედვით.

  საგამოცდო ტესტით შემოწმდება:
- დაწყებით საფეხურის (I-VI) ბუნებისმეტყველების მასწავლებლის სტანდარტით გათვალისწინებული საგნობრივი ცოდნა და მისი გამოყენების უნარი;
- გრაფიკებით, სქემებით, ცხრილებითა და დიაგრამებით მოწოდებული ინფორმაციის გაგებისა და ანალიზის უნარი;
- უცნობი ტექსტის ადეკვატურად გაგებისა და გააზრების, ტექსტიდან ინფორმაციის მოპოვების, ინტერპრეტირების, გაანალიზებისა და შეფასების უნარი.

- საკუთარი თვალსაზრისის ცხადად და ნათლად ჩამოყალიბების, არგუმენტების მოხმობით მისი დასაბუთების უნარი.
- მეცნიერული ტერმინოლოგიის ადეკვატურად გაგება და გამოყენების უნარი.

20. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები/კომპიუტერული ტექნოლოგიები (დაწყებითი/საბაზო საფეხური)

- ტესტი შედგება არჩევითპასუხებიანი და ღია დავალებებისაგან;
- არჩევითი პასუხების მქონე დავალებაში დასმულია შეკითხვა და მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით;
- ღია დავალებების მაქსიმალური ქულა მითითებულია საგამოცდო ტესტში. ეს დავალებები ფასდება წინასწარ შედგენილი შეფასების სქემის მიხედვით.
  საგამოცდო ტესტით შემოწმდება:
- საგნის სწავლებისათვის აუცილებელი მასალის ცოდნა და მისი გააზრების უნარი;
- მასწავლებლის კომპეტენციები ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების/კომპიუტერული ტექნოლოგიების პროფესიულ სტანდარტთან მიმართებით.

21. უფროსი სპეციალური მასწავლებლის გამოცდა

- ტესტი შედგება არჩევითპასუხებიანი, შესაბამისობისა და ღია დავალებებისგან;
- არჩევითი პასუხების მქონე დავალებაში დასმულია შეკითხვა და მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით;
- ღია დავალებების მაქსიმალური ქულა მითითებულია საგამოცდო ტესტში. ეს დავალებები ფასდება წინასწარ შედგენილი შეფასების სქემის მიხედვით; იმისათვის, რომ გამოსაცდელის პასუხი ღია დავალებებზე სრულფასოვნად, ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები: ა) პასუხი უნდა შეესაბამებოდეს დავალებაში მოცემულ საკითხს, ბ) დავალების პირობა სწორად უნდა იყოს გააზრებული, გ) პასუხში არ უნდა მეორდებოდეს დავალების პირობაში მოცემული ინფორმაცია კომენტარისა და ინტერპრეტაციის გარეშე, დ) დავალება შესრულებული უნდა იყოს გასარჩევი ხელწერით.

***შენიშვნა**: პასუხი მაქსიმალური ქულით შეფასდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასში მოცემული რეკომენდაცია, სტრატეგია, განმარტება, პრინციპი თუ სხვა... პირდაპირ უკავშირდება დავალების პირობაში მოცემულ საკითხს.*
***შენიშვნა:** დისკრიმინაციული ტერმინის გამოყენების შემთხვევაში პასუხი შეფასდება ერთით ნაკლები ქულით.*

- შესაბამისობის დავალება მოცემულია ცხრილის სახით, რომელიც ორი სვეტისაგან შედგება. ერთ სვეტში მოცემულია დავალების პირობა (მაგ.: დებულება, მოვლენა, სიტუაცია და სხვ.),

ხოლო მეორეში კი - სავარაუდო პასუხები (მაგ.: ცნებები, მიდგომები, სტრატეგიები, ავტორები და სხვ.). გამოსაცდელს ევალება, შეუსაბამოს ერთმანეთს სვეტებში მოცემული ინფორმაცია. ასეთი დავალების ამოხსნის შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ გამოსაცდელმა გაითვალისწინოს: B სვეტში მოცემული რომელიმე პასუხი შეიძლება არ შეესაბამებოდეს A სვეტში მოცემულ არც ერთ დებულებას; B სვეტში მოცემული ერთ-ერთი პასუხი შეიძლება შეესაბამებოდეს A სვეტში მოცემულ ორ დებულებას; ერთ-ერთ სვეტში მოცემული ჩამონათვალი შეიძლება მეტი იყოს მეორე სვეტის ჩამონათვალზე. დავალება ფასდება 1 ქულით.

- საგამოცდო ტესტით შემოწმდება:
- სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული კომპეტენციები;
- პოზიტიური, მოსწავლეზე ორიენტირებული, უსაფრთხო სასაწავლო გარემოს შექმნის უნარი; სასწავლო პროცესის დაგეგმვის, სწავლისა და სწავლების სტრატეგიებისა და სასწავლო რესურსების გამოყენება;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა შეფასება, საჭიროებების განსაზღვრა და სასწავლო პროცესისათვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
- მასწავლებლის მხრიდან თვითგანვითარებაზე ზრუნვა, სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობა და სასკოლო განვითარებაზე ზრუნვა.

22. საბაზო პროფესიული უნარები

- ტესტი შედგება არჩევითპასუხებიანი, შესაბამისობისა და ღია დავალებებისგან;
- არჩევითი პასუხების მქონე დავალებაში დასმულია შეკითხვა და მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით;
- ღია დავალებების მაქსიმალური ქულა მითითებულია საგამოცდო ტესტში. ეს დავალებები ფასდება წინასწარ შედგენილი შეფასების სქემის მიხედვით; იმისათვის, რომ გამოსაცდელის პასუხი ღია დავალებებზე სრულფასოვნად, ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები: ა) პასუხი უნდა შეესაბამებოდეს დავალებაში მოცემულ საკითხს, ბ) დავალების პირობა სწორად უნდა იყოს გააზრებული, გ) პასუხში არ უნდა მეორდებოდეს დავალების პირობაში მოცემული ინფორმაცია კომენტარისა და ინტერპრეტაციის გარეშე, დ) დავალება შესრულებული უნდა იყოს გასარჩევი ხელწერით.

***შენიშვნა**: პასუხი მაქსიმალური ქულით შეფასდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასში მოცემული რეკომენდაცია, სტრატეგია, განმარტება, პრინციპი თუ სხვა... პირდაპირ უკავშირდება დავალების პირობაში მოცემულ საკითხს.*

- შესაბამისობის დავალება მოცემულია ცხრილის სახით, რომელიც ორი სვეტისაგან შედგება. ერთ სვეტში მოცემულია დავალების პირობა (მაგ.: დებულება, მოვლენა, სიტუაცია და სხვ.), ხოლო მეორეში კი - სავარაუდო პასუხები (მაგ.: ცნებები, მიდგომები, სტრატეგიები, ავტორები და სხვ.). გამოსაცდელს ევალება, შეუსაბამოს ერთმანეთს სვეტებში მოცემული ინფორმაცია. ასეთი დავალების ამოხსნის შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ გამოსაცდელმა გაითვალისწინოს: B სვეტში მოცემული რომელიმე პასუხი შეიძლება არ შეესაბამებოდეს A სვეტში მოცემულ არც ერთ დებულებას; B სვეტში მოცემული ერთ-ერთი

პასუხი შეიძლება შეესაბამებოდეს A სვეტში მოცემულ ორ დებულებას; ერთ-ერთ სვეტში მოცემული ჩამონათვალი შეიძლება მეტი იყოს მეორე სვეტის ჩამონათვალზე. დავალება ფასდება 1 ქულით.

საგამოცდო ტესტით შემოწმდება:

- პოზიტიური, უსაფრთხო, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნისა და კლასის მართვის უნარი;
- სასწავლო პროცესის დაგეგმვის ცოდნა; ეფექტიანი სწავლებისა და მოსწავლეთა ობიექტურად შეფასებისათვის საჭირო მეთოდების ცოდნა/გამოყენება;
- სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობა და პროფესიული ეთიკის დაცვა.